სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-02/101

ქ. თბილისი 16 ივლისი 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტების განცხადებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, “საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ 21-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით დამტკიცებული მაგისტრატურის დებულების მე-8 მუხლის მე-10 პუნქტის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, ქალბატონ თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 16 ივლისის №01-05-02/21 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა „სამედიცინო ფიზიკის“ სწავლების მე-2 წლის სტუდენტის, თათია გონაშვილის თხოვნა და მიეცეს უფლება დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში (სკაიპით).
2. დაკმაყოფილდეს სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სწავლების მე-2 წლის სტუდენტის, გიორგი ლოლაძის თხოვნა და მიეცეს უფლება დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში (სკაიპით).

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**